# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელ. ხ წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ‖ ერთი თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკა. ასოთა-მწკრივით ასოზე ნახევარი კაპეიკა. [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკა.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.


პირველის აპრილიდამ ამ 1883 წლის დამლევამდის

## „დროება“

ღირს გაგზავნით 7 (შვიდი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში—დეკ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

### რუსეთიდამ

6 აპრილს

პეტერბურღი. სასახლე ორი კვირით იგლოვებს დიდის ჰერცოგის მეკლენბურგ-შვერინის გარდაცვალებას.

დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე 4 აპრილს გაემგზავრა საზღვარ-გარეთ.

ჰეროლდიის დეპარტამენტმა შეადგინა პროექტი სახელმწიფო ბეჭედისა აღნიშნვით შემოერთებულ მხრის —ბესარაბიისა და ახალ-თექესი.

ერთს საშუალო სასწავლებელში დანიშნული იყო მასწავლებლად კაცი ფრიად მავნე მიმართულებისა; რომ ესეთი შემთხვევა კვალადცა არ განმეორდეს, სახალხო განათლების მინისტრმა მიუწერა—გასცენ მოწმობა საშუალო სასწავლებლის მასწავლებლობისა, მხოლოდ მაშინ, როდესაც საუნივერსიტეტო მთავრობისაგან უწყებულ იქმნება ნამდვილი ამბავი ამ კაცის ყოფა-ქცევაზედ და ზნეობით თვისებებზედ.

### საზღვარ გარეთიდამ

6 აპრილს

პარიჟი. აქ მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე.

ტონკინის ექსპედიციისათვის მართებლობა ითხოვს ხუთ მილიონ ფრანკს.

ტფილისი, 7 აპრილს.

როგორც გაზეთებმა შეგვატყობინეს, ექვსი მაისისთვის ყველა მხრიდან დეპუტაციები უნდა იყვნენ ხელმწიფის გვირგვინის კურთხევაზედ მოსკოვში. გვირგვინის კურთხევის დროს ხელმწიფეებს ძველადგანვე ჩვეულებათა აქვთ „გასცენ მრავალი წყალობა“. შეიძლება მისმა დიდებულებამ ხელმწიფე იმპერატორმა კიდეცა ჰკითხოს დეპუტატებს: „რასა მთხოვთ? რა უფრო ეჭირვება თქვენ ქვეყანას“?

ამ ჩვენთვის სასარგებლო წამისათვის ჩვენი დეპუტატები კარგად უნდა ადრევე მოემზადნენ, რომ ან სულ პირში ნერწყვი არ გაუშრეთ, ან ძველებურად ისეთი არა ითხოვონ-რა, რომ ქვეყნის თვალში სასაცილოდ დავრჩეთ.

ბევრჯელ ჰქონიათ შემთხვევა ჩვენ წარმომადგენელთ, რომ თავის ქვეყნის საჭიროება გულ-ახდით და პირისპირ მოეხსენებინათ ხელმწიფისთვის, მაგრამ იმათ ყოველთვის მორცხვი პატარძალივით თავის მწუხარება დაუმალავთ და ისეთი რამ უთხოვნიათ, რომელიც მათვე ამცირებს მისივე თვალში, ვისგანაც წყალობას ითხოვენ და ამცირებს იმ ქვეყანასაც, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. ჩვენი დეპუტაციების ამ ნაირი ქცევა ერთს ხევსურის ანდაზას მაგონებს: ხევსურმა სული ეშმაკს მიჰყიდა, რომელმაც იმას მთელი ქვეყნის სიმდიდრე თვალწინ გადუშალა და უთხრა: მთხოვე, ხევსურო, რაც გინდა და ყველა სიმდიდრეს მოგცემო. ხევსურმა ყველაფერზედ უარი ჰყო და სთხოვა მხოლოდ ერთი ჩარექა წინწანა ქარი (არაყი) და ერთი თიხის ჯამი დიკის ფქვილის ხავიწი...

რაც გვეჭირვება, ეს ჩვენ მწერლობას ათი-ათასჯერ „მამაოჩვენოსავით“ ჩამოუთვლია და ეხლა მათი დასახელება საჭიროდ არ მიგვაჩნია. გვსურს მხოლოდ, ჩვენ წარმომადგენელთ, რომელნიც გვირგვინის კურთხევაზედ დაესწრებიან, გაბედვით და დაწვრილებით გინუცხადონ იმპერატორს ჩვენი ქვეყნის საჭიროებანი. თუ თითონ ვერ გაჰბედვენ, მიჰხედონ პოლშის დეპუტატებს მაინც, რომელნიც შარშან სამძ მარზედ მიუვიდენ სასახლეში და სამძიმრის მაგიერ თავიანთი ქვეყნის საჭიროებაზედ მოჰყვნენ ლაპარაკს. არც ის იქნება სირცხვილი, რომ, თუ რუსულად ვერ მოახერხეს, ქართულად ილაპარაკონ, ოღონდ კი ყველა თვისი სურვილი გადასცენ.

თუ პოლიაკებს არა სცხვენიანთ რუსულის უცოდინრობისა და განძრახ კიდეცა ჰმალვენ, ქართველს რად უნდა სცხვენოდეს?

### დღიური

დღეს Iსაია ფითოევის თეატრის ზალაში დანიშნულია ქართული დრამატიული დასის აკტიორის ვ. ა. მოხევეს სასარგებლოდ ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ბბ. პ. ა. აპოჩინინი, გ. ს. ტერ-სტეფანოვი, I. ფ. თხორჟევსკი, ბორესმეხოვი, ვ. ვ. პარნოვიჩი და ქალბატონი ა. ა. თხორჟევსკისა.

***

თიანეთიდამ გვწერენ:

„ჩვენი ახალი მაზრის უფროსი თავ. ლევან ჯანდიერი მობძანდა. დიდის სიხარულით მივილეთ ჩვენ თიანეთის მაზრის საზოგადოებამ. გვსმენოდა მისი კაცობა, თავიანობა. და ეხლა პირის-პირ რომ შევხედეთ ჩვენს უფროს მივხვდით, რომ სახე და საქმე უმტკიცებს კეთილობას და ჩვენ ხალხს ცოტა შემწეობაც მოგვეცემის მისგან. წვრილ-წვრილი ჩინოვნიკებისგან მუდამ შეწუხება გვქონდა, მაგრამ ღმერთმა გვიშველა და თ. ჯანდიერის მოსვლამ გზა შეუცვალა და შიშიც მისცა უკანონო ყოფა ქცევისათვის ამ მოხელეობას.

***

ტფილისის „კრუჟოკში“, კვირას, 10 მარტს ბ. მარტინოვსკი წაიკითხავს ლექციას ჰამლეტზე.

პროგრამმა ლექციისა? წინასიტყვაობა.—რა ჩაუნერგა ჰამლეტს ბუნე-

„დროების“ ფელეტონი, 8 აპრილს.

### გრ. ორბელიანის გარდაცვალებაზე

ალარ არის ის პოეტი,
ერთხელ ჩანგს რომ ამღერებდა,
გულის კვნესით, ცრემლთა ფრქვევით
მწარ ხმით ზედ რომ ამღერებდა!
არ არს იგი, ვის სიკეთე
მამულისა ახარებდა,
ვის სიმწარე სამშობლოსი
გულს უჭკნობდა ამწარებდა!

—

დღეს ალარ გვყავს ის პოეტი,
ვის ცოტა რამ უწერია,
მაგრამ ვინცა ორი სიტყვით
სხვების ათასს მოერია!
პოეტს მელნად თვისი ცრემლნი
გულის სისხლში მოერია!
და ამ ცრემლით უწერია,
რაც მის წიგნში კი სწერია!

—

ეგ ის არის ის პოეტი,

ჩვენს დიდებულ დროთ ხსენებით
ვით შარბათით ვინცა დათვრის,
ვინ თამარის სურათს ქვეშე
ნეტარების ცრემლებსა ღვრის!...

—

ეგ ის არის, ვინც იმედი,
სიტყვა საქმეს შეუერთა,
ვინ მამულსა თვით ემონა
და მამული კი ალმერთა,
ვინც არ ზოგა თავი თვისი
და უმსხვერპლა ქართველ ერთა,

—

დღეს ალარ გვყავს ეგ პოეტი,
კუბოში ძევს სახე მკრთალი.
სიხარულის მოლოდინში
შეიქმნა „ხნით დამაშვრალი“...
რა კვდებოდა, გაუნათლდა
ღრმა მოხუცსა სახე მცხრალი:
„ღმერთი შემწე და მოწყალე
რად იქნება მარად მწყრალი?

ეს იფიქრა — გაიღიმა
და დახუჭა წყნარად თვალი...
სილოვან.
1883 წ. 24 მარტს.

### ახალციხიდამ

Iლოჯი წაიღო წარსულმა მარტმა! ერთ დღეს ისეთი სიცხე დადგება, რომ ლამის საზაფხულო ტანთსაცმელი ჩავიცვათ და ფანჯრები დავაღოთ; ვნახოთ, მეორე დღეს ან ამოვარდება საშინელი ქარი, ან წამოვა თოვლი და ხელახლად დაგვიტრიალდება ზამთარი თავის ლაზათებითა. როდის იქნება გაგვეცალოს ეს გიჟი, არა სანდო მარტი?! თათრებს ერთი კარგი ანდაზა აქვსთ ამ დაუნდობელს მარტზე და ნახევარ აპრილზედ, აზრი რომლისაც ეს არის: „შეარცხვინოს ღმერთმა მთელი მარტიც და ნახევარი აპრილიც“.

როგორც ბაიყუშია, ისე ბაიყუშურად მიდის ეს თვე: სიკვდილი, სიკვდილი! სხვა არა ისმის-რა!...

თქვენი მტერი შესწუხდეს, როაქაური ქართველობა შესწუხდა გარდაცვალებით წარჩინებული პოეტისა გრიგოლ ორბელიანისა. ესეც „წავიდა“! ძველთაგან ვინღა დაგვშთენია?! „შემაერთებელი ხიდიც“ ჩატყდა. დასაფლავების დღეს განსვენებულის დიდის პოეტისა იყო აქ პანაშვიდი.

X

ბამვლელი კაცი ვარ... აქაურობაზე ბევრს ვერას მოგწერთ; მოგითხრობთ მხოლოდ რაც გავიგე და ვნახე ამ მოკლე ხანში, ჩემს აქ ყოფნაში. ამას წინად ერთმა ავაზაკმა მეორე ავაზაკი წააბრძანა საიქიოს. დამნა-

ბამ და ცხოვრებამ?—ჰამლეტი, როგორც შურის მეძიებელი.—ჰამლეტი და ოფელია.—ჰამლეტის სახის წარმოდგენა.—პიესაში სხვა ხასიათების დამოკიდებულება ჰამლეტის ხასიათთან.—ჰამლეტი, როგორც სულით ავად-მყოფი. ბელინსკი და ჰამლეტი. დასკვნა.

მიზანი ლექციისა საქველ მოქმედოა.

* * *

ჩარკატსკის გოგირდის მადანი, როგორც გაზეთი „ბაქოს მოამბე" გვაცნობებს, ამ ჟამად ფრანცუზების კამპანიის ხელში გადადის, რომლის წარმომადგენლებად ითვლებიან, ბ. ლეკან-პერდუ და თ. ერისთავი, ეხლანდელი ამ მადნების მფლობელი.

* * *

ანგარიში „ქართულის ლიტერატურულის სალამოს"-სი გამართული 13 მარტს არწრუნის თეატრში.

| | |
|---|---|
| **შემოსავალი:** | |
| ბილეთები იყო გაგზავნილი და გაყიდული . | 374 მ. 25 კ. |
| **ხარჯი:** | |
| თეატრის ქირა . . . | 40 მ. „ |
| ორკესტრი . . . . | 30 მ. „ |
| ქ. ანდრონიკოვისას . | 10 მ. „ |
| სააფიშო ქაღალდი და აფიშების გამკვრელს . | 5 მ. „ |
| პარიკმახერს . . . . | 6 მ. „ |
| დიუმას და ჟიუსტის ტანისამოსის ქირა . . | 8 მ. 40 კ. |
| ზურნა და სხვა წვრილმანი ხარჯი . . . | 13 მ. 85 კ. |
| სულ — | 113 მ. 25 კ. |
| ხარჯს გარდა დარჩა . | 261 მ. „ |
| 261 მან-დამ ვ. ჭ—სას გარდავეცი . . . . | 120 მ. „ |
| კ. მ—საგან სესხად წაღებულია . . . . | 45 მ.*) „ |
| კ. უ—საგან სესხად წაღებულია . . . . | 45 მ.*) „ |
| დ—სას . . . . . . | 2 მ. „ |
| სულ — | 212 მ. „ |

*) ეს 90 მან. ამ პირებმა უნდა გადიხადონ 10%-ით იმ ფულიდამ, რომელიც დიდ-მარხვის შემდეგ მიეცემათ ჯამაგირად.

. დანარჩენი 49 მან. ჯერ არ არის მიღებული**) უმორჩილესად ვთხოვ იმ პირთა, რომლებმაც დაიტოვეს ბილეთები და ფული კი ჯერაც არ გამოუგზავნიათ—გამოგზავნონ ამ ადრესით: ტფილისს ცენტრალურს წიგნთსაცავში ა. ჟაბადარს ანუ „დროების" რედაქციაში გარდასაცემად ვ. ჭ—სას და დ—სას.

გულითად მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა „სალამოს" გამართვაში, ბილეთების გაყიდვაში და თვით „სალამოში".

სალამოს გამგე—ა. ჟაბადარი.

**) სია იმ პირთა, რომლებსაც ჯერ არ გადაუხდიათ ხვედრი ფული, წარდგენილია „დროების" რედაქციაში.

## „დროების" კორრესპონდენციები

ს. ურიათ-უბანი, 30 მარტი. შემთხვევით მომიხდა ს. ურიათ-უბანზედ გავლა სიღნაღიდამ თელავს მიმავალს. ამ დროს უცებ გავიგონე ზარის მძიმედ რეკა და ვიფიქრე შესვლა ეკკლესიაში, რომელიც გზას არის მოშორებით და თვითონ ეკკლესიაც არის კარგა დიდი, უწინდელ ფორმაზედ აშენებული. შევბრუნდი თუ არა შეველ ეკკლესიაში, ვნახე რომ აქ შეკრებილიყვნენ ყველა ამ სოფლის წარჩინებულნი თავადნი თავიანთი სახლობით, მამასახლისი, სუდიებით და სხვა მრავალი ხალხი; ვნახე მასთან პატარა მრგვალი სკამი, შავათ შემოსილი, რომელზედაც იდგა კოლიო, აქეთ-იქიდამ იდგა დიდრონი შანდლები ანთებული სანთლებით. ყველა ამაებმა არ იყო რომ ფიქრში შემიყვანეს და მოვიცადე წირვის გათავებამდის. წირვა რომ დასრულდა სკამი, კოლიოთი და შანდლებით დიაკვანმა დადგა შუა ადგილას ალსავლის კარების პირ-და-პირ; შემდეგ გამოვიდა ამ სოფლის მღვდელ ი. ჩეკუროვი და უთხრა ხალხს მიზეზი იმ დღის აქ შეკრებისა. „ყოველი კეთილი კაცის შრომა ძვირფასია და დაუვიწყარი ხალხისათვის, ნამეტნავად თუ კაცს ჰქონია დიდი ხნის სიცოცხლე და ის გაუტარებია ხალხის კეთილ დღეობისათვის, ვიდრე საკუთარი სიამოვნებისათვისო სთქვა პატივ-ცემულმა მღვდელმა. აი, ამ გვარი კაცი არის, ძმანო, ნეტარ-სახსენებელი, ან უკვე გარდაცვალებული საქართველოს უძვირფასესი და დაუვიწყარი შვილი თავადი ზრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი, რომლის მოხსენებისათვისაც დღეს ჩვენ აქა ვართ შეკრებილნი". გრძნობით სავსე იყო მღვდლიდამ წარმოთქმული სიტყვა რომელმაც ყველა იქ მყოფს მოგვარა თვალში ცრემლები. რომ დაასრულა სიტყვა, გადაიხადა პანაშვიდი ხსენებულმა მღვდელმა ჩეკუროვმა და გათავების შემდეგ დავიშალენით და მასთან მეც გამოვეთხოვე სოფელ ურიათ-უბანს.

მ.

რაჭა, 5 აპრილი. ქვემო-რაჭველების თხოვას, დაწყებულს მათ-მიერ, შესახებ დაარსებისა უეზდის სამმართველო დაწესებულებათა, საშვალ ადგილზედა (ამბროლაურში) ამ და ბოლოს დროს წარჩინებული მსვლელობა მიეცა.

თებერვლის თვეში ამა მდგომარისა წლისა, ღუბერნიის მთავრობის განკარგულებით, ბ. პოლიციის პრისტავი ნ. ჟანელიძე დაიარებოდა ქვემო-რაჭის საზოგადოებებში და უცხადებდა ყველა წოდების ხალხს, რომ აღირჩიონ საშუალო ადგილი, სადაცა უნდა იქმნენ დ. ონიდგან გარდმოტანილი უეზდის სამმართველოები და თან ხსნიდა, რომ თუმცა-ღა საშვალ ადგილად ხალხს დიდი ხანი აქვს სახეში ს. ამბროლაური, მაგრამ იქ არ ივარგებს, რომ იქმნეს გარდმოტანილი სამმართველოებიო, მის გამო, რომ ხაშმიანი ადგილიაო და თ.თ. მაჩაბლებს არ ჰსურსთ მათ მამულში ესრეთი დაწესებულება იქმნესო... [illegible] სახით, ბ. ჟანელიძის [illegible] იქნებაო დაი[illegible] ს. წეს[illegible].

წინადადება ბ. ჟანელიძისა მოი[...] მინა საზოგადოებამ და შემდგომ და[...] ადგინეს განჩინება: მაზრის საშუა[ლო] ადგილად განამწესეს ს. ამბროლაური, და უკეთუ მთავრობა დაინახა[ვს] ამ ალაგს უარგისად, მაშინ საშუა[ლო] ადგილად იქმნეს ს. წესში.

ეს განჩინება მიერთვა გუბერნი[ის] მთავრობას, რომელსაც, როგორ[ც] კერძოდ გავიგეთ, უნებებია განკა[რ]გულება: შეჩერდეს ეს საქმე, სან[ამ] ს. ტყიბულამდინ არ გაიხსნას რკინ[ის] გზით მსვლელობაო.

ზემორე მოყვანილნი მაგალითე[ბი] ცხადად გვაიმედებს, რომ დ. ონიდ[გან] უსათუოდ უნდა იქმნენ გარდმო[ტანილი] უეზდის სამმართველოები ან ს. წესში და ან ს. ამბლორაულში. ჩვენის მხრით მოვიხსენებთ, რომ ს. ამბროლაურში აჯობებს გადმოტან[ა] სამმართველოებების, მის გამო რომ სი[]ფართო ადგილისა და მდებარეობა ა[ქ] უმფრო წარჩინებულია, ვიდრე ს. წესში. ეს უკანასკნელი ერთობ ვიწ[]რო და უსაშუალოა.

მ. ს.

## პასუხი

შორაპნის მაზრის 11 განყოფილების მომრიგებელ შუამდგომელს თ. მ. ღორთქიფანიძეს მის „დროების" № 46 დაბეჭდილ პასუხზე.

მე იმედი მქონდა თქვენზე, რომ იმ გლეხების შესახებ, რომელზედაც ვსწერდით, თქვენ გინსაკუთრებით ზრუნვას გამოიჩენდით, მაგრამ, სამწუხაროდ, მოტყუებული დავრჩი. თქვენ, რასაკვირველია, აქ თავს გაიმართლებთ „პრედპისანიებით, უქაზებით, ნაკაზებით" და სხვით... მაგრამ ჩემთვის მაინც აუხსნელი დარჩება შემდეგი კითხვები: რაღა თქვენ გამოჩნდით მარტო ერთი მარდი მომრიგებელი შუამდგომელი და გაათავეთ საწყალი ვარძიის გლეხების საქმე, როდესაც ჯერეთ სხვაგან კიდეც არ დაწყებულა?

---

შავე თუმცა დაჭერილია, ციხეშიაც ზის, ბორკილებით შემკული, მაგრამ... მაგარი ის არის, რო შეიძლების, რო თემიდამ თვისი წყალობა ეხლაც არ მოუშალოს და საპყრობილედგან კიდევ, როგორც არა ერთხელ მომხდარა, დაიხსნას. ხალხი ესე მოგახსენებს. მკვლელის სახელი გახლავსთ ფარსევა. ეს ის ფარსევა გახლავსთ, რომელსაც აბრალებდნენ ამ ორის წლის განმავლობაში ორჯერ აქაურ ურიების დაწიოკებას და მათ სისხლის დაღვრას. ეს ის ფარსევა გახლავსთ, რომლისგან თურმე იყო აკლებული აქაურობა ქურდობით. ეს ის ფარსევა გახლავსთ, რომელიც გულ-გრილად იდგა და უყურებდა თავის მსხვერპლს, როდესაც მას სჭრიდა ექიმბაში... ალბად ყველაფერი რასაც აბრალებდნენ მას მტრის ენა იყო, თორე ციხიდგან ორჯელ რად გამოვიდოდა სრულიად გამართლებული?!

ზოგიერთი კაცი, ხო მოგეხსენებათ, იმისთანა ბედის პატრონია, რო სუყველას ფერს, რაც კი მოხდება იქ, სადაც ის იმყოფესის ამ ჟამად, მას დააბრალებენ. ამ გვარნი უბედურნი ყველგან და ყოველთვის ყოფილან და კიდევაც იქმნებიან... ეხლა კი ყველა იმედეულობს, რო ფარსევა იმ ნაირათ გაებაო, რო ყოვლად შეუძლებელია მისი თავის დაძვრენაო. თუმცა ესე იმედულობენ, მაგრამ, როგორც გავიგე, შიშობენ—ვაჲ თუ კიდევ უშველოს როგორმე თავსაო და თხოვნას აპირებენ რომ ის სამაგალითოდ დასაჯონ. დიდად უნდა შესწუხდეს ერი, რო ითხოვოს, ეხლანდელ დროში, რომელიმე თავისი წევრის დასჯა! ვნახოთ-რა გამოვა რისაგან ფარსევგას დაუჯდება კოჭი ალჩუს, თუ მოქალაქეებს. მე კი დარწმუნებული ვარ, რო გამარჯვება დარჩება, უკანასკნელთ.

×

ხმა არის, რო ვითომც აქაური მსაჯული და პეტროვსკისა ერთი-ერთმანეთს უცვლიან ადგილსაო. ნამდვილად ვერ მოგახსენებთ—დანანდება მისი აქედან წასვლა, თუ გაეხარდება ხალხს, ვიცი მხოლოდ რო ფრინველს და ნადირს მისი თავიდგან მოშორება ძლიერ ესიამოვნებათ: დიდი ხანია აქ ამისთანა დაუძინარი და დაუღალავი მტერი მათ არ ჰყოლიათ. და როგორ არ გაიხარონ იმ უბედურებმა: რაც უნდა იყოს მარტიდან დაწყობილი ივნისის დამლევამდისინ მოსვენებულნი მაინც იქმნებიან! ნეტავი ვიცოდე: კანონი ვისთვის და რისთვის არის ნაწერი? მე ვგონებ, როგორც პრაკტიკა გვიჩვენებს, მაშ რა მიზეზია, რო ერთი და იგივე კანონის დარღვევისთვის გლეხ-კაცი ისჯება და დიდ-ალა,—ჩინოვნიკ კაცსა ხმას ვერავინ სცემს?! ბევრი წყალი ჩაივლის ჯერ კიდევ, მინამ ჩემი ბატონი მოხელეები მიხვდებიან გაიგებენ, და დაისწავლიან უბრალო ჭეშმარიტებას: კანონს უნდა ემორჩილებოდეს ყოველი სული— დიდი თუ პატარა!

×

არა-ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი „დროებაში", რო აქაური ქართველობა მეტად გულ-გრილად ეკიდება ერთად-ერთ ღარიბ-ღატაკ სკოლას, დაარსებულს . ამ ათის წლის წინად, თაოსნობით რამდენიმე პირთა, ძველ ქალაქში განსაკუთრებით ქართველ ქალიშვილებისთვის. თუმცა ამ სკოლაში სხვა ტომის ბავშვებიც იყვნენ და არიან კიდევაც, მაგრამ მომეტებული ნაწილი ქართველობაა. სასკოლოდ სკოლას სამუდამო შემოსავალი მხოლოდ ოც-და-ათი თუმანი აქვს, რომელიც ეძლევა ქალაქიდგან დიდის, თურმე, ვაი-ვაგლახით და უდროუდროთ. აქ არ იქმნება უადგილოდ, მოგახსენოთ, რომ მიზეზი ქალაქიდან

თუ ტფილისის გუბერნიაში და ტფილისში ვერ გაათავეს ეს საქმე რა გაჩქარებდათ თქვენ? რომელი საბუთის ძალით წაართვით ვარძიის ღვთისმშობლის ეკკლესიას შეწირულება სამთლით და ღვინით და მიათვისეთ სამზღვარ გარეთ მონასტერს წინააღმდეგ მეფის გუჯარისა? რატომ არ დაალცალეთ თქვენ გლეხების თხოვნის პასუხის მოსვლას? თუ გლეხები თვითონ იყვნენ მთხოვნელები რაც უძლეველი გძლათ ამის შედეგიც, განსაკუთრებით რათ დაადევით ფულით გადასახადი? რა საჭირო თქვენი ვექილობა იოანნიკესათვის ეხლანდელი ბერძნის არხიმანდრიტისათვის და ან ჩემი ნაწერიდამ საიდამ ჩანს, რომ ის ცუდათ ექცეოდეს გლეხებს? როდესაც გლეხების ბედის გაუმჯობესობაზე იწერება რამე რათ ხედავთ თქვენ ამ ნაწერებში იმ მიზანს, რომ ვითომ გლეხებს აბუნტებდნენ? რათ გეჩვენებათ ეს წინააღმდეგობა თქვენ მარტო ამდენ სხვა შუამდგომლებში? რამდენი ამისთანა კითხვები გადგება კაცს ენაზე, მაგრამ რა გამოვიდა. თქვენ ხომ, არა მიმხედველი ამისა, დაუჩქარეთ საქმეს და შეუდგინეთ ყველას მამულებზე უსტავნის გრამოტები, რომელზედაც გლეხები სხვა-და-სხვა დაპირაბაებით დაითანხმეთ. მაგრამ როდესაც ხელმოწერის შემდეგ სხვა გამოუცხადეთ რა გუნებაზე დადგენ ისინი ხომ იცით? უსტავნის გრამატები, რომ არ შედგენილიყო მართალია მის შესადგენ ფულებს ვერ მიიღებდით და ეს თქვენთვის საზარალო იქმნებოდა, მაგრამ მომრიგებელი შუამდგომელი გლეხების სარგებლობას უმეტესად, უნდა აქცევდეს ყურადღებას ვინემ თავისას. მაგრამ უკაცრავად, მეც რას ელაპარაკობ!..

თქვენ ბრძანებთ, ბ. მერაბ, რომ ჩვენ შუამდგომლები ყოველთვის თავის განყოფილებაში ვართო და არასოდეს არ ყოფილა ის შემთხვევა ჩვენ მთხოვნელებს ჩვენს რაიონებში ვერ გვენახოთო. ამაზე აი რას მოგახსენებთ. ჰო, ეხლა ალარაფერს არ გეტყვით. მალე დაგიმტკიცებთ თქვენი გამართლების უსაფუძვლობას.

დ. დ.

*P. S.* სხვა ადგილებში, ამბობენ, ბერძნის მონასტრების მმართველებს და მათ ყმებს მორიგება აქვსთო, რომ ერთად შერიგებული ფულის გადასახადი დადებულ დრომდის იხადონ და და შემდეგ სულ თავისუფალნი იყვნენ გლეხები. ეს ძლიერ კარგი იქნება თუ ასე მოხდა მაინც.

დ. დ.

# ნარევი

შორაპნის მაზრის სოფ. ხარაგაულიდამ მიღებული.

დედასა შვილი მოუსტაცე
და მივაბარე ცულსა,
ცული ამას ჩიოდა—
რა გაზდის ამდენ სნეულსა. 1)

—

ერთი რამე ქმნილება
სათქმელადაა სრულია,
საცა რომ წყლითა დათვრება,
ყელში ამოდის სულია,
საქონელი უღირსი ჭყავს
არ მოშივდება პურია,
ის გარბის და წალა რჩება
ქვეყანას წყდება გულია. 2)

—

ერთი სტუმარი მეწვია,
ჩემს დღეში უსტუმრებელი,
ორი ულუფა მივართვი,
სუფრაზე დაუდებელი. 3)

—

ერთი რამე სულიერი
ფთოსანი ორ-ყუროსანი,
უკვერცხოდ შვილის მშობელი,
ვით რომ ირემი ხმოსანი,
ამისი გამომცნობელი,
ჭკუიანია და გმოსანი. 4)

—

ორნი ვაჟკაცნი იბრძვიან,
წითელნი მინუშოსანნი,
არცა აქვსთ თოფი-ხანჯალი,
არც ლეკურ-ქარქაშოსანი,
რომელიც ჩამოვარდება
ბევრი ჭყავს გამცარცოსანნი. 5)

—

თავი ქვის—ტანი ხის
ფოთოლს სჭამს ნაცარს ყრის. 6)

—

ერთი თხა მყავდა ელაო
მუცელზე ება ენაო,
მისმა სიტყვა და პასუხმა
ქვეყანა დააჯერაო. 7)

—

ბოსელს უკანა შავი კვახია,
მან დედა-მიწა ცხვირით დახია. 8)

—

აი, თვისა და თვის თავზედ,
გვარდი ამოდის კლდის თავზედ. 9)

—

დედა არ შობილიყო—
შვილი ქალაქს მიდიოდა. 10)

ახსნა. 1 ნამყენი. 2 მატარებელი. 3 ქალის ძუძუნები. 4 ღამურა. 5 აღდგომის კვერცხი. 6 ჩიბუხი. 7 სასწორი. 8 მუდო. 9 მთვარე. 10 კომლი.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხუმთანოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 ს საათიდამ $10^1/_2$-მდინ ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ყმაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^1/_2$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლორიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ყმაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაბაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმების სამშ. - შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან., ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საქიმო განყოფილება ექ. ტელიატფუსის ხელმძღვანელობით.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და

შემწეობის დანიშვნისა ბრძანდებოდა თურმე ახლად-განსვენებული თ. გრიგოლ ორბელიანი. ამ ოც-და-ათი თუმნით სკოლა რას გაძღებოდა, რო სხვაფრივ შემწეობა არ სძლეოდა—სპექტაკლებისგან, ალლეგრისგან და ხანდისხან ძლიერ მცირე საწევრო ფულისგან. საკვირველი გულ-გრილი ხალხია აქაური მკვიდრი ქართველობა: ერთი მათგანი არ იტყვის, რო ეს სკოლა ჩვენი შვილებისთვის არის დაარსებული და თითქმის მხოლოდ მოსული ხალხის—ჩინოვნიკების შემწეობით არსებობსო, ერთი-ორი გროშით ჩვენც შევეწიოთო! რო ვსთქვა, რომ სიღარიბით მოსდისთ, იმასაც ვერ ვიტყვი; ქართველობაში არიან აქ შემძლებელნი, რომელთაც ბევრი არა დააკლდებოდათ ერთი-ორი გროშის შეწირვით სკოლისთვის, მაგრამ... განა სომხები სუყველანი მდიდარნი არიან აქ, რო ამოდენა სკოლები აქვსთ გამართული და გულ-მოდგენით დიდი თუ პატარა მისდევს ამ წმინდა სკოლის საქმეს?! ეს რაღა ჩვენი უბედურობაა, რო ერთად-ერთი სკოლის გახსნა მოუხერხებიათ და იქამდისინ უხეირონი არიან, უთაურობის და გულ-გრილობის გამო, რო დღეს არა ხვალ შესაძლებელია თურმე, ეს ერთად-ერთი სკოლაც დაიკეტოს! სირცხვილი და სირცხვილი!..

×

აქაურ საზოგადოებას დროს გასატარებლათ აქვს სამი ადგილი: სამხედრო კრებულობა, სამოქალაქო კლუბი და ახლად გახსნილი კრუჟოკი. რადგანაც პირველი განსაკუთრებით მხედართათვის არის დაწესებული და შორსაც არის, ბევრი არვინ დაიარება იქ; როგორათაც სამოქალაქო კლუბს, ეგრეთვე კრუჟოკს თურმე საკმარისი წევრი ჰყავსთ. საკვირველია ამ პატარა ქალაქში სამი კლუბის არსებობა! ერთიც თავს აუვიდოდათ, რო თურმე რიგიანად წაეყვანათ საქმე სამოქალაქო კლუბში. იმისთანა უწესოება ჩამოვარდა თურმე, რო ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა იქ სიარული და საჭირო გახდა „კრუჟოკის“ დაარსება. ეტყობა ძლიერ მოვიდოდენ ბეზარს, რო ამ მცირე ხანში გახსნეს კრუჟოკი, რომელსაც ამ ჟამად ჰყავს 85 წევრამდისინ თურმე. ამ გვარ პატარა ქალაქში დიდად საჭიროა, რო საზოგადოებას ჰქონდეს თავის შესაფერებელი ადგილი, სადაც შეეძლოს თავისუფლად, ადამიანურად დრო გაატაროს. კრუჟოკში დაიარებიან ქალებიც. ძლიერ კარგი იქმნება, რო ქალებმა არ დაიშალონ კვლავაც სიარული კრუჟოკში. ურილობას უფრო შინაური საოჯახო ხასიათი მიეცემა; ამის გარდა მათი აქ ყოფნის გამო ყოვლად შეუძლებელი იქმნება უწესოების ვისგანმე ჩადენა: ყველა მოერიდება მათ იქ ყოფნას. კრუჟოკისტებს დიდი იმედი აქვსთ, თურმე, რო რიგიანად წაიყვანენ საქმეს და არ დასცემენ მას ძირს. ეს მათი იმედი, რო ცარიელ იმედათ არ დარჩეს და განხორციელდეს საჭიროა, ყოველმა წევრმა—„სტარშინამ“ და არა-„სტარშინამ“ სინიდისიანათ ასრულოს თვისი მოვალეობა და ერთხელ დაწესებულ და მიღებულ რიგს არ უღალატოს. სხვა აქაურობის ამბებს მოგაწოდებთ ახალქალაქიდან, სადაც ამ დღეებში გიახლებით.

მგზავრი.

ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შ ა ბ ა თ ს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; ქელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ზახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

**საქართველოს სამოთხე**

გამოცემული მიხეილ საბინინის-მიერ. ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ზ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

**საავადმყოფო**

**ექიმის პავლოვსკისა**

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, გარანცოვის მეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. გ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავადა-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ.; საღამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ბაბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი.
(20—14)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

**№ 1.**

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

**კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში ისყიდება აბრაშუმის ჭიის თესლი ფასი მისხლისა 50 კაპ.**

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

**საყმაწვილო გალი**

**№ 1**

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**დედა და შვილი**

**და**

**რამდენიმე ლექსი**

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის

**სკოლაში და შინ საკითხავად**

ადაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

ინგლისის

# მაღაზია

*Maison de confiance*

შავდარმე წყენი ნაი—1 მ. 10 კ. მოხვოვის ნაიხ—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—58)

გალავინის პროსპექტედ, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, კამლევ მებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით—ოთხი აბაზიდამ—სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.
10—9)

**ახალი ქართული**

# კარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

**წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:**

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ზ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—10)

**რადგან მივდივართ,**

ისყიდება 5 ნაწილი ადგილისა წყლის ნაპირას ახალი ხიდის მახლობ; პირობის შეტყობა შეიძლება ინგლისის მაღაზიაში.

ამავე მიზეზით ისყიდება ნახევარ ფასად: ტანთ-საცმელი, ტრიკო, შალის ჩულქები და სხ. და სხვ.

იქვე აუარებელი რკინის კალმები, რკინის ტახტები, ჩაი 1 მოსავლისა, კაცისა და ქალის უნაგირები, საპონი და სხვ და სხვა—25% ნაკლებ სანამ სხვაგან. გლიცერინის საპონი 40 კ. გირვანქა!

**ინდოეთის ბრინჯი 5 კ.**

ქართული დრამატიული საზოგადოების მართველობა ამით აცხადებს რომ, შედგენა დრამატიულის დასისა და გამგეობა ტფილისში ქართულის თეატრის საქმისა მიიღო თვითონ მართველობამ, და ამისათვის მოიწვევს მათ, ვისაც სურს შემოსვლა ქართულს თეატრის დასში, თავისის პირობებით მიჰმართონ ტფილისს, ან მმართველობის მიერ მინდობილ პირს, თავ. **ილია გრიგოლის-ძეს ჭავჭავაძეს,** ან მართველობის სეკრეტარს **კონსტანტინე დიმიტრის-ძეს ყიფიანს.**

საზოგადოების მართველობის თავსმჯდომარე თ. დავ. ავალიშვილი.

მართველობის სეკრეტარი. კ. ყიფიანი.

**დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად**

# „ციკო“

მოთხრობა

**ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)**

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—20)

**ინგლისური რკინის კრაოტები**



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—47)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

**№ 1**

**ჩახრუხაძე**

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

**ტაქსია**

სავებავ ხორავეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 აპრილიდამ 1 მაისამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

ინგლისის მაღაზიაში

# თმის ამომყვანი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—59)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, ღუხები და სხვ.

# ისყიდება

რადგან ვსპობთ ვაჭრობას, ერთობ იაფ ფასად, ესე იგი უფრო იაფად, ვინემ ნასყიდია: ოქრო-ვერცხლის და ბრილიანტის ნივთები, საათები თუ სხვა-და-სხვა...

სასახლის ქუჩა—ზუბალოვის სახლი.

(6—1) ვ. ნ. ლაქსინი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Апрѣля 1883 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.